

ორჩევ ვვერესტს?
ესე იგი ორჩევ
ხარისხს!!!

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

მათემატიკის მასწავლებელი

1) ლადოს სწავლა დილის 8 საათზე ეწყება. იგი სახლიდან სკოლამდე მისვლას ნახევარ საათს ანდომებს. ბებიამ ლადო დილის შვიდის ნახევარზე გააღვიძა.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რომელ საათზე გააღვიძა ბებიამ ლადო?
1) ექვსის ნახევარზე 2) ექვსზე 3) შვიდის ნახევარზე 4) შვიდზე

2) ბ) რომელ საათზე ეწყება ლადოს სწავლა?
1) ექვს საათზე 2) შვიდ საათზე 3) რვა საათზე 4) ცხრა საათზე

5) გ) გაღვიძებიდან რამდენ ხანში უნდა გავიდეს ლადო სახლიდან, რომ სკოლაში ზუსტად სწავლის დაწყებისას მივიდეს?
1) ერთ საათში 2) საათნახევარში 3) ორ საათში 4) ორსაათნახევარში

2) მართკუთხედის პერიმეტრია 48 სანტიმეტრი. თუ მოცემული მართკუთხედის სიგრძეს შევამცირებთ 8 სანტიმეტრით მივიღებთ კვადრატს.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რას უდრის მართკუთხედის პერიმეტრი?
1) 24 სმ-ს 2) 40 სმ-ს 3) 48 სმ-ს 4) 96 სმ-ს

2) ბ) რა ფიგურას მივიღებთ, თუ მოცემული მართკუთხედის სიგრძეს შევამცირებთ 8 სმ-ით?
1) სამკუთხედს 2) კვადრატს 3) ხუთკუთხედს 4) კუბს

5) გ) რას უდრის მოცემული მართკუთხედის სიგანე?
1) 8 სმ-ს 2) 10 სმ-ს 3) 16 სმ-ს 4) 18 სმ-ს

3) მაშოს ორჯერ მეტი თანხა ჰქონდა, ვიდრე თემოს. თემომ თავისი თანხის ნახევარი, 98 ლარი დახარჯა. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

2) ა) რამდენი ლარი დახარჯა თემომ?
1) 198 ლარი 2) 196 ლარი 3) 98 ლარი 4) 49 ლარი

2) ბ) თავისი თანხის რა ნაწილი დახარჯა თემომ?
1) ნახევარი 2) მესამედი 3) მეოთხედი 4) ოთხმოცდამეთორმეტედი

7) გ) რამდენი ლარი უნდა დახარჯოს მაშომ, რომ მას იმდენივე ლარი დარჩეს, რამდენიც დარჩა თემოს?
1) 98 ლარი 2) 196 ლარი 3) 284 ლარი 4) 294 ლარი

4) მაღაზიაში ერთნაირი მასის 6 ტომარა ფქვილი მიიტანეს. თითოეული ტომრიდან მასში არსებული ფქვილის ნახევარი გაყიდეს, რის შედეგადაც ყველა ტომარაში ერთად 150 კილოგრამი ფქვილი დარჩა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- ა) რამდენი ტომარა ფქვილი მიიტანეს მაღაზიაში?
1) სამი 2) ექვსი 3) ცხრა 4) თორმეტი
- ბ) ფქვილის რა ნაწილი გაყიდეს თითოეული ტომრიდან?
1) ნახევარი 2) მესამედი 3) მეოთხედი 4) მეხუთედი
- გ) რამდენი კილოგრამი ფქვილი იყო თითოეულ ტომარაში თავდაპირველად?
1) 25 კგ 2) 50 კგ 3) 100 კგ 4) 300 კგ

5) მარანში ორი ერთნაირი ტევადობის ქვევრი იყო. ერთი ნახევრადსავსე, მეორე კი ცარიელი. ბაბუამ მარანში 40 ლიტრი ღვინო მიიტანა. მან მარანში მიტანილი ღვინით ნახევრადსავსე ქვევრი ბოლომდე შეავსო, რის შედეგადაც მას კიდევ 8 ლიტრი ღვინო დარჩა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- ა) რამდენი ლიტრი ღვინო მიიტანა ბაბუამ მარანში?
1) 8 ლიტრი 2) 16 ლიტრი 3) 32 ლიტრი 4) 40 ლიტრი
- ბ) რამდენი ლიტრი ღვინო დასჭირდა ბაბუას ნახევრადსავსე ქვევრის ბოლომდე შესავსებად?
1) 32 ლიტრი 2) 40 ლიტრი 3) 56 ლიტრი 4) 64 ლიტრი
- გ) მინიმუმ კიდევ რამდენი ლიტრი ღვინო უნდა მიიტანოს ბაბუამ მარანში იმისათვის, რომ ცარიელი ქვევრი ბოლომდე გაავსოს?
1) 24 ლიტრი 2) 32 ლიტრი 3) 56 ლიტრი 4) 64 ლიტრი

6) აწონეს 2 ერთნაირი მასის ნესვი და 1 საზამთრო. ორივე ნესვი ერთად 12 კილოგრამი აღმოჩნდა. ასევე ცნობილია, რომ ნახევარი საზამთრო 2-ჯერ მძიმეა, ვიდრე ერთი ნესვი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- ა) რამდენჯერ მძიმეა ნახევარი საზამთრო ერთ ნესვზე?
1) 2-ჯერ 2) 3-ჯერ 3) 4-ჯერ 4) 8-ჯერ
- ბ) რას იწონის ორი ნესვი ერთად?
1) სამ კგ-ს 2) ექვს კგ-ს 3) თორმეტი კგ-ს 4) ოცდაოთხ კგ-ს
- გ) რას იწონის ერთი საზამთრო?
1) თორმეტი კგ-ს 2) თექვსმეტი კგ-ს 3) ოცდაოთხ კგ-ს 4) ორმოცდარვა კგ-ს
- დ) რამდენჯერ მძიმეა ერთი საზამთრო ნახევარ ნესვზე?
1) 4-ჯერ 2) 6-ჯერ 3) 8-ჯერ 4) 12-ჯერ

7) დაფაზე დაწერეს სამი ერთმანეთის მომდევნო რიცხვი. ამ სამ რიცხვს შორის უდიდესისა და უმცირესის ჯამია 58. რას უდრის ამ სამ რიცხვს შორის უმცირესი რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვების ჯამი?

- 1) 60-ს 2) 58-ს 3) 56-ს 4) 54-ს

8) ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- ნებისმიერი ორნიშნა რიცხვის მომდევნო რიცხვი ორნიშნა რიცხვია;
- ნებისმიერი ორნიშნა რიცხვის წინა რიცხვი ორნიშნა რიცხვია;
- ნებისმიერი ლუწი რიცხვის მომდევნო რიცხვი კენტი რიცხვია;
- ნებისმიერი კენტი რიცხვის მომდევნო რიცხვი კენტი რიცხვია.



- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) არც ერთი

9) ნათიას ორი ხუთთეთრიანი და სამი ათთეთრიანი აქვს. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი, თუ ცნობილია, რომ ნათიას კიდევ 15 თეთრი უნდა მისცენ?

- შესაძლებელია ნათიას ხუთთეთრიანები უფრო მეტი გაუხდეს, ვიდრე ათთეთრიანები;
- შესაძლებელია ნათიას ათთეთრიანები ისევ უფრო მეტი ჰქონდეს, ვიდრე ხუთთეთრიანები;
- შესაძლებელია ნათიას ერთნაირი რაოდენობის ხუთთეთრიანები და ათთეთრიანები გაუხდეს.

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) არც ერთი

10) ასანთის ღერებით მცდარი უტოლობა იყო ჩაწერილი (სურათი 1). ნანამ ასანთის 1 ღერი გადაადგილა 1 კი აიღო და გადაადგო, რის შედეგადაც ჭეშმარიტი უტოლობა მიიღო. ქვემოთ მოცემული უტოლობებიდან რამდენია ისეთი, რომელიც შეიძლება მიეღო ნანას?




- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) არც ერთი

11) გია კინოს ბილეთის რიგში დგას. რიგში გიას წინ მხოლოდ მამაკაცები და ქალბატონები დგანან. თუ გიას წინ მდგომი ყველა მამაკაცი რიგს დატოვებს, მაშინ გია რიგში მეოთხე აღმოჩნდება. ხოლო, თუ გიას წინ მდგომი ყველა ქალბატონი დატოვებს რიგს, მაშინ იგი რიგში მეექვსე აღმოჩნდება. მერამდენე დგას გია რიგში?

- 1) მეუერთმეტე 2) მეათე 3) მეცხრე 4) ამის გაგება შეუძლებელია

12) მოსწავლემ 3 უტოლობის დასაწერად 6 რიცხვი გამოიყენა (სურათი 2). აღმოჩნდა, რომ მოსწავლის მიერ დაწერილი უტოლობებიდან ორი მცდარი იყო, ერთი კი – ჭეშმარიტი. თუ მოსწავლის მიერ დაწერილ თითოეულ უტოლობაში ნიშნებს საპირისპიროთი შევცვლით (მეტობას ნაკლებობით, ხოლო ნაკლებობას მეტობით), მაშინ რამდენი უტოლობა იქნება მცდარი? (მოსწავლის მიერ დაწერილი რიცხვები სურათზე აღნიშნულია კითხვის ნიშნებით)



- 1) ერთი 2) ორი 3) სამი

4) ამის გაგება შეუძლებელია, რადგან არ ვიცით უტოლობების დასაწერად რა რიცხვები გამოიყენა მოსწავლემ.